# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №14

ჩაქვი 21 მარტი 2017წ.

**ნინო ჩხეტიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 09 მარტის N11 ბრძანებით, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია დაინიშნა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 16 მარტს მიღებული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს N35 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 16 მაისის №106 დადგენილება ,,გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 142[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 მარტის №35 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ უზრუნველყოს საბჭოს პერსონალური შემადგენლობის წარმოდგენა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ნინო ჩხეტიას გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 09 მარტის N11 ბრძანება.

4. ბრძანების ასლი ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს ნინო ჩხეტიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**დავით გაბაიძე**